საქართველო
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო

№ 14 " 06 " 02 " 2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების

სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

"კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 ოქტომბრის N10 ბრძანების მე 5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ოფიციალური მოთხოვნის სახით გიგზავნით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ დასტეფანწმინდის ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობების სარეკონსტრუქციო სარეაბილიტაციო სამუშაოთა სტრუქტურული პროექტის შედგენის კონკურსის საკონკურსო განცხადების, რათა უზრუნველყოთ მისთვის ნომერის მინიჭება და განთავსება თქვენ ოფიციალურ ვებგვერდზე.

დანართი: საკონკურსო პირობები

პატივისცემით

გ.მალანია

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე,

საკრებულოს თავმჯდომარე

საქართველო, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დასტეფანწმინდა,4700, აღმაფრენის ქ.№1, ტელ. 790 57 01 12; 790 57 01 17; ს/კ 241499473; www.kazbegi.org.ge.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

კონკურსის მეშვეობით საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადება

დ.სტეფანწმინდა
2012 წელი

სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება
2. ტექნიკური დავალება
3. ხელშეკრულების პროექტი
4. რეკვიზიტები

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

საკონკურსო განცხადება

1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს,რომელსაც გააჩნია არქიტექტურულ და საპროექტო სფეროში საქმიანობის გამოცდილება

2. კონკურსის მიზანია დ.სტეფანწმინდის ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობების სარეკონსტრუქციო–სარეაბილიტაციო სამუშაოთა პროექტების საუკეთესო არქიტექტურული ესკიზის გამოვლენა და შემდგომში კონკურსანტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 58000 (ორმოცდათვრამეტი ათასი)ლარს.

4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://procurement.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=39

5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
   ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
   ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე–4 ან მე–5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.
   შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

9. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 15 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე: დ.სტეფანწმინდა,ალ.ყაზბეგის ქუჩა № 1, ადმინისტრაციული შენობის 1 სართული,საკონკურსო კომისიის აპარატში.
   საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოდგენილი უნდა იყოს 2 ეგზემპლარად(დედანი და ასლი)

10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2012 წლის 15 თებერვალს 14: 00 საათზე.

11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

12. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

13. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

_საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში;

შენიშვნა:იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტი არ არის დ.ღ.გ–ს გადამხდელი,საქ.კანონმდებლობის შესაბამისად მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დ.ღ.გ.–ს გარეშე.

_ არქიტექტურული პროექტის ესკიზი, განმარტებითი ბარათით

_ ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;

_ რეკვიზიტები;

– ინფორმაცია მომსახურების ვადების შესახებ

ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

14. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

15. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

16. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

- ესკიზი: კოეფიციენტი – 0.6
- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.4
- შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით:
- კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

18. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 15 დღეში საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

19. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში და საპროექტო –სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში.

20. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები

21. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია.

22. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

23. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია საკონტაქტო ტელეფონზე: 595 90 25 75

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს დ.სტეფანწმინდის ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობების ესკიზური პროექტები:

1. ყაზბეგის #26 (მესაკ. მარიამ,ჯუმბერ და ხათუნა გომიაშვილები);
2. ყაზბეგის #28 (მესაკ. გივი გიგაური);
3. ყაზბეგის #32 (მესაკ. გიორგი შაიშმელაშვილი);
4. ყაზბეგის #34(მესაკ. აპოლო ჩოფიკაშვილი);
5. ყაზბეგის #32–34–ის წინ მდებარე
6. ყაზბეგის #36 (რესტორანი თერგი);
7. ყაზბეგის #36 წინ მდებარე
8. თერგის #1 (ყოფილი ბანკი);

საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

1. არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილი (3 ეგზემპლარი და ელ. ვერსია);
2. ხარჯთაღრიცხვა (3 ეგზემპლარი და ელ. ვერსია);
3. ტოპო გეგმა (3 ეგზემპლარი და ელ. ვერსია);

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი საავტორო ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების და პროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი

დ.სტეფანწმინდა — 2012 წელი

ერთის მხრივ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის გოჩა მალანია სახით და მეორეს მხრივ, ———————— (შემდგომში
მიმწოდებელი) წარმოდგენილი ———————— სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

დ.სტეფანწმინდის ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობების სარეკონსტრუქციო–სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო(ესკიზი) სახარჯთაღრიცხვო ტექნიკური დოკუმენტაციის შესყიდვა.(CPV კოდი 71300000)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს — ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ————————————

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს ————————————

9.5 მხარე ვალდებულია 9.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხეშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის --- — და მოქმედებს 2012 წლის ——— ჩათვლით.

შემსყიდველი:

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: /გოჩა მალანია/

მიმწოდებელი:

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/ ფაქტიური მისამართი;

საიდენტიფიკაციო კოდი;

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი;

ელექტრონული მისამართი

მომსახურე ბანკი– ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში;

~

ხელმოწერა– – – – – –

ბ.ა.